თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2023 წლის 6 სექტემბერი

ქ. თერჯოლა

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, ს.კ: 010250050.35.126.016252, 06.11.2019) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედვლობის სამსახურის დებულების:

ა) „მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს“;

ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახური უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3, 51^3, 53^3, 55-ე, 55^3, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე მუხლით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით, 46-ე მუხლითა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით (გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები და შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ან საჯარიმო ქვითარი –ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **დავით გოგბერაშვილი**
მოვალეობის შემსრულებელი